ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: **87-87253437**
თარიღი: **09/12/2025**

ადრესატი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ანგარიშს 2025 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და გაცემის საკითხებთან დაკავშირებით.

1. 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 12 საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაა შემოსული. გაცემულ საჯარო ინფორმაციაზე შესწორების შესახებ არ შემოსულა არცერთი განცხადება.

2. ინფორმაციის დაკმაყოფილების შესახებ მიღებულია 12 გადაწყვეტილება.

   საჯარო ინფორმაციის გაცემა ხორციელდება განსაზღვრული პასუხისმგებელი პირის, საკრებულოს აპარატის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (საორგანიზაციო საკითხებში)ლია შათირიშვილის მიერ (ელ.ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com).

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წელს არ ყოფილა მიღებული არცერთი გადაწყვეტილება სხდომის დახურვის შესახებ.

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებობს შემოსული და გასული კორესპონდენციის მონაცემთა ბაზა; ადამიანური რესურსების მართვის ბაზა. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება და გაცემა ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს პერსონალურ მონაცემებზე არაუფლებამოსილ პირთა წვდომას.

5. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში არ მომხდარა საჯარო მოხელეების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევა.

6. საკრებულოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა არ დაფიქსირებულა.

7. საკრებულოს მიერ გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდა არ მომხდარა.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი